# ხელშეკრულება № 52

გურჯაანის მუნიციპალიტეტი 14ნოემბერი 2016წ

## 1 ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ ქ.გურჯაანის №4 საჯარო სკოლის დირექტორი: ნინო ნონეშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“. მეორეს მხრივ შ.პ.ს. „არქიტრავი-XXI“-ის დირექტორი: ნანა პაპუნაშვილი, შემდგომში „შემსრულებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 2 ხელშეკრულების საგანი

2.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების უზრუნველყოფა.

## 3 მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1 „შემსყიდველი“ ავალებს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულების საგანში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

3.2 „შემსიყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

## 4 გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება მაღალ ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ხარვეზების გასწორება.

## 5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლიორი

5.1 „შემსრულებელს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „შემსრულებელის“ მიერი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

## 6 შესყიდვის სამუშაოს მიღება-ჩაბარება

6.1 შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლება-მოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის დოკუმენტაციას.

## 7 სახელშეკრულებო ფასი და ანგარიშწორების ფორმა

7.1 ხარჯთაღრიცხვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვროს შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 2%-ით.

## 8 ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო არ განიხილება, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან დარღვევად.

8.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსიყდველი“ და/ან „შემსრულებელის“ შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომელთაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას

ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

## 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

9.2 ხელშეკრულება წყდება:

ა) სახელშკრულებო ვადის დამთავრებისას;
ბ) სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაუქმებულად ცნობის დროს.

## 10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ, არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარებენ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, რომელიც მათ შორის შესაძლებელია წარმოიშვას ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

## 11 დამატებით პირობები

11.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოსათვის მიმართვის ან ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. საერთო გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორე მხარეს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე, მისი მიღების საფუძვლისა და ამოქმედების თარიღის მითითებით.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისგან.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

11.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 12 მხარეთა რეკვიზიტები

12.1 დამკვეთი:

ქ.გურჯაანის №4 საჯარო სკოლა, საიდენტიფიკაფიკაციო კოდი 227730658 „ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი“ ბანკის კოდი LBRTGE22. ანგარიშის №GE64LB0121112215304000

12.2 შემსრულებელი:

შ.პ.ს. „არქიტრავი XXI“ ქ.გურჯაანი ნონეშვილის ქ.№11 საიდენტ.კოდი 227716530
სს. „საქართველოსბანკის“ გურჯაანის №59 სერვის-ცენტრი. ბანკის კოდი BAGAGE-22

GE89BG0000000195525600

ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი:

ქ.გურჯაანის №4 საჯარო სკოლის

დირექტორი: /გ.ნონეშვილი/

ბ.ა.

შ.პ.ს. „არქიტრავი XXI“-ის

დირექტორი: /ნ.პაპუნაშვილი/

ბ.ა.

# სახარჯთაღრიცხვო-დოკუმენტაციის

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ.გურჯაანი.    2016წ. 17ნოემბერი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ.გურჯაანის №4 საჯარო სკოლის დირექტორი: ნინო ნონეშვილმა, შ.პ.ს. ,,არქიტრავი XXI"-ის დირექტორი ნანული პაპუნაშვილმა შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი მასზედ, რომ შემსყიდველმა მიმწოდებლისგან ჩაიბარა მხარეთა შორის 2016 წლის 14 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსყიდველის მიერ დაკვეთილი ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის ღირებულება შეადგენს 230.90(ორასოცდაათი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი ) დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

*შემსყიდველი:*

*ქ.გურჯაანის №4 საჯარო სკოლის*

*დირექტორი: /ნ. ნონეშვილი/*

*ბ.ა*

*შემსრულებელი:*

*შ.პ.ს. ,,არქიტრავი XXI-ის"*

*დირექტორი : /ნ.პაპუნაშვილი/*

*ბ.ა*